

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 წელი. თარგმანი მომზადებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მიზნობრივი ფონდის მიერ (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ავალდებულებს სასამართლოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სრული მითითება საავტორო უფლების შესახებ დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #101

ოქტომბერი, 2007

**ვიესერი და შპს ბიკოს ბეტელინგუნგენი (Wieser and Bicos
Beteiligungen GmbH) ავსტრიის წინააღმდეგ - 74336/01**

გადაწყვეტილება 16.10.2007 [IV სექცია]

მე-8 მუხლი

მუხლი 8.1

მიმოწერის პატივისცემა

ადვოკატის კომპიუტერულ სისტემაში ელექტრონული მონაცემების ძიებისა და ამოღებისას პროცედურული გარანტიების დაუცველობა: *დარღვევა*

ფაქტები: პირველი განმცხადებელი იყო იურისტი და მეორე განმცხადებლის, ჰოლდინგური კომპანიის, მესაკუთრე და გენერალური მენეჯერი. მეორე განმცხადებელი კი თავის მხრივ ფლობდა სხვა კომპანიას, ნოვამედს. ორივე კომპანია მდებარეობდა პირველი განმცხადებლის იურიდიულ ოფისში. იტალიის სახელმწიფო ორგანოებისგან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების თხოვნით მიმართვის შედეგად, რეგიონულმა სასამართლომ კომპანიის სათაო ოფისის ჩხრეკის შესახებ ბრძანება გასცა. პოლიციის ოფიცრები ჩხრეკისას, რაც პირველი განმცხადებლისა და ადვოკატა ასოციაციის წარმომადგენლის თანდასწრებით მიმდინარეობდა, ეძებდნენ მეორე განმცხადებელთან და ნოვამედთან დაკავშირებულ წერილობით დოკუმენტაციას. თუ პირველი განმცხადებელი აპროტესტებდა რომელიმე დოკუმენტის ადგილზე შესწავლას, ეს დოკუმენტი ილუქებოდა და ინახებოდა რეგიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. ყველა ამოღებული და დალუქული დოკუმენტის სია ოქმში აისახა, რომელსაც ხელს აწერდნენ პირველი განმცხადებელი და ოფიცრები. პარალელურად, ოფიცრთა სხვა ჯგუფი სწავლობდა პირველი განმცხადებლის კომპიუტერს და გააკეთეს რამდენიმე დოკუმენტის ასლი დისკზე. ამ ჩხრეკას IT სპეციალისტი და ადვოკატა ასოციაციის წარმომადგენელი ესწრებოდნენ. თუმცა არანაირი ოქმი არ მომზადებულა დღის ბოლომდე. ოქმში

მითითებული იყო რომ ოფიცრებს არ მოუხდენიათ მთელი სერვერის კოპირება, არამედ ეძებდნენ ამ ორი კომპანიის და სისხლის სამართლის საქმეზე ეჭვმიტანილთა სახელებს. ამის შემდეგ გამომძიებელმა მოსამართლემ პირველი განმცხადებლის თანდასწრებით გახსნა დალუქული დოკუმენტები. რამდენიმეს ასლი გადაიღეს და დაუმატეს საქმის მასალებს, ხოლო დანარჩენი დაუბრუნეს პირველ განმცხადებელს იმ საფუძველით, რომ მათი გამოყენება წინააღმდეგობაში მოდიოდა მისი პროფესიული საიდუმლოების მოვალეობასთან. პირველმა და მეორე განმცხადებელმა ეროვნულ სასამართლოებს საჩივრით მიმართეს იმის თაობაზე, რომ ელექტრონულ მონაცემებთან მიმართებით ჩატარებული ჩხრეკითა და ამოღებით დაირღვა პირველი განმცხადებლის პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება. თუმცა მისი საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

კანონმდებლობა: განმცხადებლების ელექტრონული მონაცემების ჩხრეკა და ამოღება წარმოადგენდა მათი „კორესპოდენციის“ პატივისცემის უფლებაში ჩარევას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებობდა სპეციალური ნორმები დოკუმენტების ამოღებაზე და ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართლის მიხედვით ეს წესები ასევე ვრცელდებოდა ელექტრონულ მონაცემებზე. ეს ჩხრეკა და ამოღება ემსახურებოდა დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, მაშინ როდესაც დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილი იყო წერილობითი დოკუმენტების ამოღებასთან მიმართებით, მათი დაცვა არ მოხდა ელექტრონულ მონაცემებთან მიმართებით. კერძოდ კი ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელს არ ქონდა საშუალება სათანადოდ ედევნებინა თვალყური ჩხრეკისთვის, ოქმი მომზადდა ძალიან გვიან და არც პირველ განმცხადებელს და არც ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელს არ ეცნობათ ჩხრეკის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ პირველი განმცხადებელი არ იყო მეორე განმცხადებლის კონსულტანტი, ის მოქმედებდა როგორც სხვა მრავალი კომპანიის კონსულტანტი, რომელთა წილებსაც ფლობდა. უფრო მეტიც, ამოღებული ელექტრონული მონაცემები მეტწილად შეიცავდა იმავე ინფორმაციას რაც წერილობითი დოკუმენტების სახით არსებობდა და რომელთა ნაწილიც გამომძიებელმა მოსამართლემ პირველ განმცხადებელს დაუბრუნა, როგორც პროფესიული საიდუმლოების ნაწილი. შესაბამისად, არსებობს იმის გონივრული ვარაუდი, რომ ამოღებული ელექტრონული მონაცემები ამ ინფორმაციას შეიცავდა. პოლიციის ოფიცრების მიერ იმ პროცედურული გარანტიების დაუცველობამ, რომლებიც „თვითნებობის“ პრევენციას და ადვოკატის პროფესიული საიდუმლოს დაცვას ემსახურება, პირველი განმცხადებლის ელექტრონული მონაცემების ჩხრეკა და ამოღება დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით არაპროპორციული გახდა.

დადგენილება: დარღვევა (ოთხი ხმა სამის წინააღმდეგ).

41-ე მუხლი - 2 500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული ეს მოკლე შეჯამება სავალდებულო არ არის
სასამართლოსთვის

სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე შეჯამებებისთვის მიჰყევით ბმულს [Case-Law Information Notes](#)

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენაა ინგლისური და ფრანგული. თარგმანი მომზადებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მიზნობრივი ფონდის მიერ (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ავალდებულებს სასამართლოს და სასამართლო არ არის პასუხისმგებელი თარგმანის

ხარისხზე. თარგმანის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სამიუბო მონაცემთა ბაზიდან - HUDOC (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა წყაროდან, რომელსაც სასამართლომ გაუზიარა თარგმანი. თარგმანის არაკომერციული მიზნით გავრცელება დასაშვებია იმ პირობით, თუ მითითებულია საქმის სრული სახელწოდება და მინიშნება ადამიანის უფლებათა მიზნობრივ ფონდზე. თუკი იგეგმება თარგმანის ნებისმიერი ნაწილის გამოყენება კომერციული მიზნით, გთხოვთ, დაგვიკავშირდით publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012.

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012.

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int